ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2962205

ნომერი: AR1454329

თარიღი : 05.11.2016

გაცემის თარიღი : 24.11.2016

გაცნობის თარიღი : 24.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიგოლ ლორთქიფანიძე , N 19ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ დემეტრაძე პ/ნ 01010006142
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 15 ბ. 53

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- II კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 2592516
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 13.05.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, გრიგოლ ლორთქიფანიძის (ყოფ. კაიროს) ქ. #19ა-ში, შპს "ყავის სახლი-ქენინგჰოლი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.19.34.002.010) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო ობიექტის-მაღაზიის) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის #ბ-3264691/07 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. #57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის "პ" ქვეპუნქტის თანახმად, სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, გრიგოლ ლორთქიფანიძის (ყოფ. კაიროს) ქ. #19ა-ში, შპს "ყავის სახლი-ქენინგჰოლი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.19.34.002.010) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო ობიექტის-მაღაზიის) ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის #ბ-3264691/07 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქმშენებლობით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე არქიტექტურის სამსახურის 14.05.2016 წ. №2592516 ბრძანებასთან ერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.